№ 2695
პარასკევი,
10 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2695
პარასკევი,
10 დეკემბერი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რადგან ღამის დეპეშები გვიან მოდის, ამიტომ ცალკე ფურცელზე ვბეჭდავთ, რომელიც ამავე გაზეთთანვე ეგზავნებათ მკითხველებს.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.
ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წლიწადში მეათე
სურათებიანი დამატებით.
კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.
ფასი გაზეთის გაგზავნით
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისთანავე 4 მან. და დანარჩენი პირველ მარტამდე.
საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.
ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ წლიწადში მეთორმეტე
კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“
საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.
◆ უფასოდ გაეგზავნება ◆
მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისთანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის
დონ-კიხოტი
დორეს სურათებით.
ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) მშვენივრად დაბეჭდილ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისა
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის განახლებას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს იმავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
მასალები საქართველოს ისტორიისათვის
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისა.
რედაქციის კანტორის ადრესი: ბანკის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

არჩილ და ნიკიფორე დუკას ძენი ასათიანები მეუღლითურთ და შელაგია დუკას ასული მარდანიასა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი და უკანასკნელი—უსაყვარლესის დედისა, ხოლო მეორენი ძვირფასის დედამთილის

ელისაბედ ივანეს ასულის ასათიანისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 7 საათზე. გამოსვენება პარასკევს, 10 დეკემბერს (ავჭალის ქუჩა, ჯალალოვის სახ. № 11) წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და იქიდან კუკიის სასაფლაოზე. (2—402—2)

ანტონ მიხეილისძე ბიბილური, ნინა და დარო მიხეილის ასულნი, გლადიმერ ვაფლანისძე ხუნდაძენი და ნიკოლოზ მიხეილისძე შენგელია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

მიხეილ დიმიტრის ძის ბიბილურისას,

გასვენება 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე კალოუბნის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა წმ. ნინოს მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. სახლი № 1, პირველ გიმნაზიის ქუჩაზე. (2—397—2)

სოფიო პავლეს ასული მირაქოვისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—მაზლისა, მეორენი ბიძისა

სტეფან იაკობის ძის მირაქოვისას.

პანაშვიდი გადახდილ იქნება პარასკევს, 10 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე, დაკრძალვა შაბათს 11 დეკემბერს, დილის 10 საათზე. (ბჟ. 6. 1—1)

ქართული წარმოდგენა. მეტცელის თეატრში
კვირას, 12 დეკემბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ორი ობოლი
მელოდრამა, 5 მოქ. თარგ. ა. ცაგარლისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ნ. მესხი, ლეჟავა, ჯავახიშვილი, ნჟიერიძე; ბ-ნნი კ. მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ჩარკვიანი, შალიკაშვილი, ივანიძე, სარაჯველაძე, იორდანიშვილი, წუწუნავა, მეტრეველი, ბეჟანიშვილი და სხვანი.
ადგილების ფასი: 1 რიგი—1 მან. 50 კ., 2, 3—1 მან. 25 კ., 4, 5, 6—1 მან. 7, 8—80 კ. 9, 10—70 კ. 11, 12—60 კ. 13, 14 და 15—50 კ., ბალკონზე ფეხზე დგომა 30 კ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგე რეჟისორი: ქ. მესხი.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
პარასკევს, 10 დეკემბერს 1904 წელს წარმოდგენილი იქნება
M-lle ფიფი“ „პაიაცები“ და „ბორის გოდუნოვი“.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნიკიტსკაია, მიხაილოვა, ტელლერი, ხარიტონოვა, ზასლავსკაია; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, სიკაჩინსკი, კომაროვი, ობრაზცოვი, პოლუიანოვი, დემიანენკო, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
11 დეკემ.—„დემონი“. გამგე ი. ა. კელლერი.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 12 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქარ. დრ. საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება.

განსახილველი საგნები:

1. ბ. ბ. ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ.
3. მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ.
4. ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.
5. საზოგადოების არსებობის 25 წლის იუბილეის პროგრამა.
6. ახალ წევრების არჩევანი. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ფ. მუდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კირონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. მიდიმანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
პ. ა. მეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. ნ. მოსინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.
მ. ხ. მუხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ვრ. მ. ხოზოლიშხიძე.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ და პარასკევობით 1—2 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში დირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟევსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
გ. ა. მიქელაძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველდღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—7)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—17)

კბილის ექიმი
ივანე ჭ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ჩიტის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი
იღებს ყოველგვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—9)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყაზარმის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ი. ა. გოქიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შინაგანის და ნერვების. მიხეილის ქ., № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ი. ი. ზამბახიძე
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (80—365—21)

ექიმი
ა. ნ. თითრაძე
სოლოლაკი, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—20)

კბილის ექიმი
ალ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი მდივნისა № 12. „კრუჟოკის“ გვერდით. (30—6.—1)

ექიმი
ბ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—28.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მალარაშვილი
მიიღებს შინაგანი და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—403—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 დეკემბერი

ლონდონი, 8 დეკემბერი. ნოგის არმიაში მყოფი „რეიტერი“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ კიკვანშანის სიმაგრის მეციხოვნე ჯარმა იაპონელთა პირველი იერიში მოიგერია. რუსებმა მოხერხებულად შეიყვანეს სიმაგრეში ფარულ გალერეით მაშველი რაზმი—300 კაცი. 10 საათის განმავლობაში საშინელი ბრძოლა იყო; მებრძოლნი შტიკებსა და ხელით სატყორცნელ ყუმბარებს ხმარობდნენ. შუა ღამეს იაპონელებმა საერთო გამწვავებული იერიში მიიტანეს და აიღეს სიმაგრე. რუსთაგან მხოლოდ 20 კაცი გადარჩა, ამათ ააფეთქეს 4 ნაღმი, დაანგრიეს გალერეა და ამით გააჩერეს მათი მდევარი იაპონელები. იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს 4 ველის ზარბაზანი და 3 ტყვიის-მტყორცნელი.

ნაგასაკი, 8 დეკემბერი („რეიტერი“). გემი „ნეგრეცია“ სასებოს მოვიდა; ამ გემს ვლადივოსტოკში ნავთი მიჰქონდა. გემის მეზღვაურებს შანხაიდან გასვლა არ უნდოდათ; ინგლისის კონსულმა დააჯერა გასულიყვნენ, რადგან, იმის აზრით, გემის ტვირთი კონტრაბანდად არ ჩაითვლება და ვლადივოსტოკი ალყა შემორტყმული არ არისო.

9 დეკემბერი

ტოკიო, 8 დეკემბერი („რეიტერი“). როგორც სჩანს, ჯერ-ჯერობით ნამდვილად არ იციან, არიან თუ არა რუსის აფიცრები გემ „ნეგრეცია“-ზე. იაპონელები შეუდგნენ ამ შემთხვევის დაწვრილებით გამოძიებას, რადგან არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, შეუძლია თუ არა ჩინეთს აასრულოს თავისი ვალდებულება—ჩინეთის ტერიტორიაზე დაჭრილ რუსის აფიცრებისათვის თვალ-ყურის გდება. გემი „მანჯუმარუ“ 13 დეკემბერს პორტ-არტურისაკენ მიდის უცხოელ საზღვაო აგენტებით და იაპონიის პარლამენტის წარმომადგენლებით. ამ მგზავრობის მიზანია: შეძლება მისცენ საზღვაო აგენტებს ტეხნიურად გამოიკვლიონ საქმის ვითარება. პორტ-არტურიდან წაყვანილი რუსის ტყვეები იუწყებიან 21 ნოემბერს, რომ ლონდონში მყოფ რუსეთის ელჩის შვილი ლეიტენანტი გრაფი მეკენდორფი პორტ-არტურშია და კარგად არისო.

მოსკოვი, 7 დეკემბერი. ქალაქისა და სამხედრო უწყების შეთანხმებით ცალკე მუდმივი სადგურია დანიშნული მოსკოვის გზით შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ 1200 ჯარის კაცისათვის.

ნოვოროსიისკი? **ნემიროვი**, 8 დეკემბერი. თავად შჩერბატოვის მეუღლემ გამართა თავის მამულში საავადმყოფო 20 დაჭრილისათვის.

მოსკოვი, 8 დეკემბერი. აკურთხეს ციმბირის მე-27 სასანიტარო მატარებელი 250 კაცისათვის, რომელიც ყაზანის რკინის გზის სახელოსნოებშია აშენებული.

პარიზი, 8 დეკემბერი. გულის შემთხვევის გამომძიებელ კომისიაში მყოფი შეერთებულ შტატების წარმომადგენელი ადმირალი დევისი დღეს ბერლინს მივიდა.

პეტერბურგი. აბისინიის ნეგუსმა მენელიკმა 100 ათასი ფრანკი შესწირა შორეულ-აღმოსავლეთში ავადმყოფთა და დაჭრილ რუსის მეომრების სასარგებლოდ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 დეკემბერი.

ბერლინი, 8 დეკემბერი. აქ ცნობებია მიღებული, რომ პორტ-არტურთან იაპონელთა მიერ დაჭერილ ინგლისის გემზე რუსის ფლოტის აფიცრები იყვნენ, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ ბალტიის ესკადრის გემებთან მიეღწიათ.

ხარკოვი, 8 დეკემბერი. გამოცხადებულია სათადარიგო ჯარის კაცთა სამსახურში გაწვევა. მობილიზაცია 9 დეკემბერს დაიწყება, გაწვეული არიან: ქვეითა ჯარის კაცნი, სანიტარები, ფელდშრები, რკინის გზის მოსამსახურეები და საინტენდანტო ვახტერები. მობილიზაციას თვალ-ყურს ადევნებს ფლიგელ-ადიუტანტი თავადი დოლგორუკოვი.

ლონდონი, 8 დეკემბერი. ახალშენების სამინისტრომ განკარგულება გაუგზავნა სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკის ახალშენების გუბერნატორებს იმის შესახებ, რომ მეთევზეთა გემებმა უსათუოდ დაიცვან სასიგნალო წესები.

რიგა, 8 დეკემბერი. მოვიდა ბალტიის ზღვის ნავთსადგურებისა და დაცვის უფროსი ვიცე-ადმირალი ბარილოვი და დაათვალიერა ლანგეს გემთ-საშენებელი, რომელზედაც მუშაობას შეუდგნენ.

ირკუტსკი, 8 დეკემბერი. წავიდა პეტერბურგს წითელი ჯვრის მთავარ-რწმუნებული ფონ-კაუფმანი, რათა მონაწილეობა მიიღოს მომავალ წელს წითელი ჯვრის მოღვაწეობის განხილვაში.

პეკინი, 8 დეკემბერი. კორეის მთავრობამ, რომელსაც იაპონელები ხელმძღვანელობენ, გადასწყვიტა გამოიწვიოს თავისი ელჩი ძინა. როგორცა სჩანს, იაპონელებს თვითონ სურთ იკისრონ კორეის წარმომადგენლობა საზღვარ გარედ და აიძულონ უცხოელი სახელმწიფოები გაიწვიონ სეულიდან თავიანთი წარმომადგენლები.

ჩიფუ, 8 დეკემბერი. 6 დეკემბერს ინგლისის კონსული მოვიდა რუსეთის საელჩოში იმ დროზე, როცა ხალხის მისაღებად დანიშნული დრო გავიდა. საღამოს სადილი იყო გამართული, რომელსაც რუსეთის კოლონიის წარმომადგენელნი დაესწრნენ. პეკინში მყოფ რუსეთის ელჩს დეპეშა გაუგზავნეს თხოვნით, რუსის კოლონიისა და მისის უქვეშევრდომილესი გრძნობები გამოუცხადოს ხელმწიფე-იმპერატორს; მეორე დეპეშა გაუგზავნეს გენერალ-ადიუტანტს კუროპატკინს და მტერზე გამარჯვება უსურვეს.

პარიზი, 8 დეკემბერი. ყველაფერია მზად ხვალ დანიშნულ გამომძიებელ კომისიის სხდომისათვის. ანტვერპენიდან იუწყებიან, შეიძლება დღეს ამერიკის დელეგატი ადმირალი დევისი მოვიდესო. ფიქრობენ, რომ კომისია იანვრამდის ვერ შეუდგება თათბირს, რადგან უნდა აასრულოს სხვა-და-სხვა ფორმალური წესი, განსაკუთრებით მეხუთე დელეგატის დანიშვნის შესახებ.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: ამბობენ, იაპონელებმა ციანჩანში 15 ათასი ჯარის-კაცი დააყენეს და 40 ზარბაზანი დადგესო. ციანჩანი წინადაც კარგად იყო გამაგრებული, ეხლა ხომ უფრო ძლიერ გაუმაგრებიათ. ციანჩანის ველის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მხარეს სანგრები აუშენებიათ. ციანჩანი მდ. ტაიძიხეს სათავის ახლო, საიმაძიდან 30 ვერსტის მანძილზე მდებარეობს ჩრდილოეთით. იქ გენ. კუროკის განაპირა მარჯვენა ფრთა დგას.

კიევის მე-12 საარმიო კორპუსი მანჯურიის მე-3 არმიაში ჩაირიცხება. ამ კორპუსის უფროსად მე-8 კავალერიის დივიზიის უფროსი გენ.-ლეიტ. ბეკმანი დაინიშნა. („ბ. ვ.“).

რუსის არმიას მანჯურიაში 200 ათასი ფუთი სიმინდი სჭირდება ყოველ დღეო. („ნ. ვ.“).

ვლადივოსტოკში სანოვაგე მეტად გაძვირდა: ჰვავის (არჟანოი) პურს გირვანქას 10 კაპეიკად ჰყიდიან. ხალხი ცუდ გუნებაზეა.

სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი შიპოვი ირკუტსკში გაგზავნეს, რომ რკინის გზით ჯარის გადაყვანას თვალყური ადევნოს. გენ. შიპოვს გაჰყვნენ უმთავრეს ინტენდანტის ხელქვეითი პოლკოვნიკი მერდერი და სამხედრო მინისტრის ადიუტანტი სუკოვკინი. („რ. ს.“).

„ნოიე ფრეიე პრესე“-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: ერთმა წარჩინებულმა დიპლომატმა მითხრა, საქმეში ჩახედული ხალხი დარწმუნებულია, იქნება რუსეთი და იაპონია მალე შეარიგონო. იმედი აქვთ, პორტ-არტურს აიღებენ თუ არა იაპონელები, ომიც გათავდებაო. („ბ. ვ.“).

პორტ-არტური. 28 ნოემბერს, გენ. ნოგი იუწყებოდა: ჩვენმა არტილერიამ პორტ-არტურში უმთავრესი ტელეგრაფის სადგური დაანგრია და არსენალს ცეცხლი წაუკიდაო.

„ტაიმს“-ი იუწყება: იაპონელებს ეგონათ რუსის ნაღმიანი გემები ლიაოტეშანის უკან იმალებიანო, ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს გემები შიდა ნავთსადგურში მდგარან სამ საავადმყოფო გემის უკან. საავადმყოფო გემებზე წითელ ჯვრის დროშაა გაშლილი. თუმცა იაპონელები სრულის პატივცემით ექცევიან ჟენევის კონვენციას, მაგრამ მაინც იძულებულნი იქნებიან, ზარბაზანი დაუშინონ ნაღმიან გემებს, თუ აღმოჩნდება, რომ რუსები ბოროტად სარგებლობენ წითელ ჯვრის დროშითაო. („ნ. დ.“).

„დეილი მეილ“-ი იუწყება: ჰფიქრობენ, გენ სტესელს მთავარი სადგომი პენიუშანზე (მწყრის, ანუ პერეპელინაია გორაზე) უნდა ჰქონდესო. ოქროს გორაზე რუსებს სულ ოთხი ფორტი აქვთ აშენებული.

203 მეტრიანი გორა. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო ცხადადა სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 203 მეტრიან გორის აღებას. ამ გორის წვერიდან ტაიანკოუსა, იტცეშანისა და ანცეშანის ფორტების შუა გულიც კარგადა სჩანს. ამ ფორტებზე გემებიდან გადმოღებული ზარბაზნები უდგათ რუსებს. მატროსებიც აქა დგანან. პორტ-არტურის მიდამოებში ცივი ამინდი დგას; ხშირად თოვლ-ბუქი ამოვარდება ხოლმე, მაგრამ იაპონიის ჯარის სანიტარული მდგომარეობა მაინც ეხლა უმჯობესია, ვიდრე 1894 წლის ჩინეთის ომის დროს იყო.

გერმანული გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ი აწერს 203 მეტრიან გორის აღებას და ჰკითხულობს, რა სარგებლობა მოუტანა იაპონელებს ამ გორამაო. ამ გორას დიდი მნიშვნელობა აქვს,—ამბობს გაზეთი: სხვა არა იყოს რა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ რუსები ყოველნაირად ეცადნენ 203 მეტრიან გორის დაბრუნებასაო. ძნელი გასაგებია, როგორ მოახერხეს იაპონელებმა ამ გორის წვერზე დიდ ზარბაზნების ატანაო. („პ. ვ.“).

პორტ-არტური ფლოტის ბაზად აღარ გამოდგება. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ვ. მ. სწერს: „რუსის ფლოტი ეხლა პორტ-არტურში ვეღარ დადგება, იქ ბინას ვეღარ დაიდებს. ეხლა პორტ-არტურის დოკები სანახევროდ დანგრეულია, იქაურ საწყობებსა და არსენალებს თითქმის ყოველ დღე ცეცხლი ეკიდება, ნავთ-სადგურს სეტყვასავით აყრიან ყუმბარას, ერთის სიტყვით, იქ ფლოტს დგომა აღარ შეუძლიან. რუსეთის მრისხანე ბურჯი (პორტ-არტური) ეხლა ხიფათად გაუხდა რუსის ფლოტს. იაპონელები იმაზე ძლიერ არას ინატრებენ, რომ დიდ ოკეანის მეორე ესკადრაც მივიდეს და გენ. ნოგის საალყე ზარბაზნების წინ დადგეს. მაშინ იაპონიის ბატარეები ისე გაანადგურებდნენ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას, რომ ადმ. ტოგოს ხელის განძრევაც არ დასჭირდებოდა. დიდ ოკეანის მეორე ესკადრა მაინც და მაინც დიდ დახმარებასაც ვერ გაუწევს პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს, ამიტომ ეხლა ადმ. როჟესტვენსკი პორტ-არტურის ბლოკადის გარღვევასა (თუ-კი ჰქონდა ასეთი განზრახვა) და გენ. სტესელის შველაზე ხელს აიღებს. გინდ პორტ-არტური გაზაფხულამდეც გამაგრდეს, ადმ. როჟესტვენსკი იქ მაინც ვეღარ მივა, პირდაპირ ვლადივოსტოკისაკენ უნდა წავიდეს და ყვითელ ზღვის (პორტ არტურის წინ) მაგიერად იაპონიის ზღვაში (ვლადივოსტოკის წინ) იმოქმედოს. ასე რომ ფლოტის სამხედრო მოქმედების ასპარეზი გაცილებით ფართოვდებაო და რუსეთს სულ სხვა—რიცხვით თუ ღირსებით—ფლოტი დასჭირდება. პორტ-არტურიდან მოქმედება იაპონელების ფლოტის წინააღმდეგ გაცილებით ადვილი იყო, ვიდრე ვლადივოსტოკიდან. აი, ამ მხრივ უნდა შევხედოთ მესამე ესკადრასაც, ეხლა რომ ამზადებენ შორეულ აღმოსავლეთს გასაგზავნადაო“.

დიდ ოკეანეს მეორე ესკადრა. „ნოიე ფრეიე პრ.“ სწერს: თუ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ამას იქითაც იმავ სიჩქარით ივლის, როგორც აქამდე მიდიოდა, კაპშტადტში მხოლოდ 20 დღის შემდეგ მივა, ესე იგი იანვრის დამდეგს (ახალის სტილით). რაკი ესკადრა აქამდე კაპშტადტში არ მივიდა, სჩანს, რომ ადმ. როჟესტვენსკი პორტ-არტურის აღებას ელის და შორეულ-აღმოსავლეთში წასვლას მაინც და მაინც სერიოზულად არა ჰფიქრობს. (როგორც დეპეშიდან ვიცით, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას გაუვლია კაპშტადტთან). ვსთქვათ, რომ რუსის ესკადრა იაპონელებს პირველად ზონდის არხიპელაგის რომელსამე სრუტეში შეეტაკება, თუ ბალტიის ესკადრა კაპშტადტში დეკემბრის გასულს (ახალის სტილით) მივა, მაშ ზონდის არხიპელაგს მხოლოდ 90 დღის, ანუ სამი თვის შემდეგ მიაღწევს, ასე რომ იაპონელებთან შეტაკება ესკადრას მხოლოდ აპრილში (ახალის სტილით) მოუვა.

„ნოიე ფრაიე პრესე“-ს დეპეშით ატყობინებენ ადენიდან: ადმ. ფელკერზამის ესკადრამ მშვიდობიანად გაიარა მეწამული ზღვა, ადენში შეიარა და ინდოეთის ოკეანეში გავიდა. ესკადრაში 2 ჯავშნიანი გემი, 2 კრეისერი, 7 ნაღმიანი გემი და 5 თავისუფალ ფლოტის გემი-კრეისერია. სუეცის არხში გავლისათვის ადმ. ფელკერზამმა არხის გამგეობას 14,790 გირვ. სტერლინგს, ანუ 138 ათასი მანეთი მისცა, ესკადრამ ადენში ორი დაზიანებული ნაღმიანი გემი შეაკეთა და ადენიდან გავიდა. ან ცეილონისაკენ გაემართებოდა და იქიდან მალაკის სრუტით დიდ-ოკეანეში წავა, ან კუნძულ მადაგასკარისაკენ წავიდოდა დიეგო სუარეცში ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასთან შესაერთებლად. ადმ. როჟესტვენსკის ესკადრამ კეთილ იმედის კონცხის წინ გაიარა კიდევაც. უფრო ჭკუას ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ რუსის ესკადრის პირველი რაზმი (ადმ. ფელკერზამისა) მადაგასკარისაკენ წავა, რადგან საეჭვოა, რომ ადმ. ფელკერზამმა ასეთის სუსტის რაზმით ზონდის არხიპელაგში შესვლა გაბედოს, სადაც ადმ. ურიუს ესკადრა უცდის. („რ.“).

ერთი ინგლისელი მეზღვაური სწერს „დეილი ნიუს“-ში: ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა კეთილ იმედის კონცხთან ცუდი ამინდის გამო ზღვაში ვერ დაუდებს ქვანახშირს. რუსის გემებს ბევრი-ბევრი 2 ათას მილის გავლა შეუძლიანთ ერთხელ დადებულ ქვა-ნახშირით. გინდ რუსის ესკადრამ დელაგოას ბუხტაში შესვლა მოახერხოს, საეჭვოა, რომ პორტუგალიის მთავრობამ ქვა-ნახშირის დადების ნება მისცეს რუსებს; ამ შემთხვევაში ესკადრას პირდაპირ მადაგასკარისაკენ მოუხდება წასვლა. ყველაზე უფრო ჭკუას ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ რუსის ესკადრის ორივე რაზმი კუნძულ მადაგასკარის ჩრდილოეთ ნაპირად რომელსამე ბუხტაში შეერთდებიან. რუსის ესკადრას მხოლოდ იქ შეუძლიან უშიშრად შესვლა და ქვა-ნახშირის დადება (კუნძული მადაგასკარი საფრანგეთს ეკუთვნის); ყველაფრიდან სჩანს, რომ რუსები სწორედ ასეც მოიქცევიან. რუსის გემებს ძირსა და გვერდებზე, ალბად, გზაში ორ ფუტზე ზღვის მცენარეები მიეკვრება, თუ ამის წინაამდეგ შესაფერ ღონისძიებას არ მიიღებენ. („რ.“).

კაპიტანი კლადო. დიდ ოკეანის ფლოტის შტაბის უფროსმა მე-2 რანგის კაპიტანმა კლადომ ამას წინად „ნოვოე ვრემია“-ში შესანიშნავი წერილები დასწერა რუსის ფლოტზე და უცილობლად დაამტკიცა, რომ ეხლანდელი ომი უმთავრესად საზღვაო ომია, თუ რუსეთი ძლიერ ფლოტს არ გაჰგზავნის შორეულ-აღმოსავლეთში და ზღვაში არ გაბატონდება, ვერც ხმელეთზე გაიმარჯვებსო, ფლოტის დაუხმარებლად იაპონელების დამარცხება ხმელეთზე შეუძლებელიაო. კლადომ დაამტკიცა, რომ დიდ ოკეანეს მეორე ესკადრა გაცილებით სუსტია (თითქმის ერთი ორად) იაპონიის ფლოტზე და ადმ. როჟესტვენსკის მარტოკას სხვა ესკადრის დაუხმარებლად არ შეუძლია, ბრძოლა ადმ. ტოგოსთანაო. ბოლოს კლადო თხოულობდა, რუსეთმა უსათუოდ ეხლავე მესამე ესკადრა უნდა მიაშველოს ადმ. როჟესტვენსკის, თორემ იმის ესკადრასაც პორტ-არტურის ესკადრის ბედი მოელისო; ამიტომ რაც ბალტიისა და შავ ზღვაში ფარსაგი გემები ჰყავს რუსეთს, ეხლავე უნდა მოამზადოს და შორეულ-აღმოსავლეთს გაისტუმროსო. რუსის საზოგადოებამ დიდის აღტაცებით წაიკითხა კლადოს წერილები და გულწრფელი თანაგრძნობა გამოუცხადა ავტორს სიმართლის თქმისათვის. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა, რომ კაპიტანმა კლადომ ამ წერილებში გაბედულად, მოურიდებლად გაარჩია რუსის ფლოტის ბიუროკრატიული, ძველებური წესები. ბოლოს, როგორც დეპეშიდან ვიცით, რუსეთის ფლოტის უფროსმა გენერალ-ადმირალმა დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ კაპიტან კლადოს „ფაქტების დამახინჯების“ გულისათვის 15 დღით დაპატიმრება მიუსაჯა. კლადომ ითხოვა, სამხედრო სამართალში მიმეცით, რომ თავის გამართლება შევიძლოო, მაგრამ იმისი თხოვნა უყურადღებოდ დასტოვეს…

დეპეშიდან ისიც ვიცით, რომ ამ დღეებში კაპიტანი კლადო პარიზში წავიდა გულის ინციდენტის გარჩევაზე დასასწრებლად. კლადო წარსულ აპრილამდე საზღვაო აკადემიის პროფესორად იყო; აპრილში ადმ. სკრიდლოვმა დიდ ოკეანეს შტაბის უფროსად დანიშნა და ვლადივოსტოკში წაიყვანა. სექტემბერში კლადო რუსეთში დაბრუნდა და 1 ოქტომბერს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას გაჰყვა შორეულ-აღმოსავლეთს. გზაში 8 ოქტომბერს ღამეს ჩრდილოეთ-ზღვაში მომხდარ ინციდენტს (რუსის ესკადრამ რომ ზარბაზანი დაუშინა ინგლისელ მეთევზეებს) დაესწრო და მერე ვიგოდან, როგორც ამ საქმის მოწმე, პეტერბურგში დააბრუნეს. ეხლა საერთაშორისო კომისია შეიკრიბა პარიზში და კლადოც იქ წავიდა ჩვენების მისაცემად. (იმის გარდა ორი სხვა მეზღვაური ოფიცერიც წავიდა). „რუს“-ი სწერს ამის თაობაზე: „კაპიტან კლადოს ოფიციალურად დააბრალეს „ფაქტების დამახინჯება“, ეხლა კი მოწმედ უნდა წარუდგეს გულის ინციდენტის გამომძიებელ კომისიას. ჩვენ ვიცით, ინგლისელები გაბედული ხალხი არიან, იქნება კლადოს ჯერ ჩვენება ჩამოართვან და მერე დინჯად ოფიციალური ბრძანება წაუკითხონ, სადაც კლადოს „ფაქტების დამახინჯება“ ჰბრალდება. (ეს ბრძანება ყველა ინგლისურს გაზეთში იყო დაბეჭდილი). ამიტომ კლადო უსათუოდ სამართალში უნდა მისცენ და ეს ბრალი მოჰხსნან, რადგან ინგლისელები მხოლოდ სასამართლოს დადგენილებას სცემენ პატივს. კლადოს საქმე დაუყოვნებლივ უნდა გაარჩიოს სასამართლომ, იმაზე წინ, სანამ საერთაშორისო კომისია შეიყრება პარიზში, თორემ უამისოდ კლადოს ჩვენებას არად ჩააგდებენ ინგლისელებიო. („რ.“).

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომრის მეორე გვერდის პირველ სვეტზე დაბეჭდილია: „ხელში ჩაიგდეს ჩრდილოეთი ქედი პეტუშანის ქედისა.“ უნდა იყოს: „ხელში ჩაიგდეს ჩრდილოეთი **ფორტი** პეტუშანის ქედისა“.

ახალი ამბავი

✦ 7 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო დაწესებულებათა სადგომში **ნაფიც ვექილებსა და მათ თანაშემწეებს** (სამოცამდე კაცს) ბ-ნ ჩემესოვის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდათ იმის განსახილველად, თუ რით აღნიშნონ სასამართლოს რეფორმიდან 40 წლის შესრულება. კრებაზედ აღნიშნეს, რომ რეფორმის შემდეგ ორმოც წლის განმავლობაში სასამართლო თან და თან შეზღუდულ და შევიწროებულ იქმნა, განსაკუთრებით კავკასიაში, სადაც არ არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. კრება შეეხო პეტერბურგისა და მოსკოვის ნაფიც მსაჯულთა კრებების მიერ აღძრულ საკითხებს და დაადგინა მიანდოს შესაფერ დეპეშების გაგზავნა ნაფიც ვექილთა კომისიას.

✦ **4 დეკემბერს ქუთაისში მოხდა** ქუთაისურ ნაფიც ვექილთა საერთო კრება, თანახმად მათის წესდებისა. კრებას დაესწრო ოცზე მეტი ნაფიცი ვექილი და მათი თანაშემწენი. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: გაეგზავნოს 21 ნოემბერს მომხდარ პეტერბურგელ საერთო ვექილთა კრების თავმჯდომარეს ბ-ნ კორსაკოვს შესაფერი დეპეშა.

✦ შინაგან საქმეთა **მინისტრის ამხანაგმა** აცნობა **გუბერნატორს**, რომ, რადგან 1900 წელს გამოცემულ დებულების ძალით სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხის მიცემა შეიძლება მხოლოდ 3 წლით, ამისათვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ გორის მაზრის სოფ. კლდისთაველების გლეხებს, თანახმად მათის თხოვნისა, მიეცეთ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხი, იმ პირობით, რომ ეს სესხი მათ სამი წლის განმავლობაში გაისტუმრონ და არა ხუთის წლისაში, როგორც ისინი თხოულობენ. თუ 3 წლის განმავლობაში აღებულ ვალის გადახდას ვერ შესძლებენ, მაშინ თქვენზედ დამოკიდებული შეამდგომ-

ფელეტონი

წარსულიდან

აზნაურის ათისტატი

საქართველო (ამერეთი) რუსეთს შეუერთდა 1800 წელს. ამ წლიდან დაიწყო არეულობანი, დრტვინვა, ბატონიშვილებისა და დედოფლების რუსეთში გადასახლება, კათალიკოზობისა და საეპისკოპოზოების მოშლა და გაუქმება. ასეთი შფოთი და დევნა მოედო მთელს საქართველოს, ამერეთ-იმერეთს. იმერთა მეფე სოლომონ მეორე წერეთელმა ღალატით შეაპყრობინა ტორმასოვს. მეფე დაამწყვდიეს ტფილისში, მაგრამ მან მოახერხა აქედან გაქცევა ახალციხეს, იქიდან გადავიდა იმერეთს და მთელი სამეფო, რომლის გამგეობა ჩაბარებული ჰქონდათ წერეთელსა და გენერალს სვიმონოვიჩს, ფეხზე დააყენა, ააშფოთა და ააღელვა. მეფის წინააღმდეგი იყო მთავარი დადიანიც, მომხრე რუსებისა. დაიღვარა მრავალი სისხლი, მეტადრე იმ მამულიშვილებისა, რომელნიც ცდილობდნენ დაეცვათ საქართველოს თავისუფლება, რომელნიც უშიშრად იბრძოდნენ. ამ მამულიშვილობის მოთავენი იყვნენ ბატონიშვილები ალექსანდრე, ჭაბუკი ლევან იულონის ძე, თეიმურაზ ბატონიშვილი (ცნობილი ისტორიკოსი). მაგრამ ამათთა ცდამ ამაოდ ჩაიარა. რუსებს ზურგი გაუმაგრეს გავლენიანმა და მრავალ-ყმიანმა თავადებმა და სასულიერო წოდების უმაღლესმა წარმომადგენლებმაც. ყველა ამას ცხადად აჩენს „მასალები ბატონიშვილის დავით მემკვიდრისა და მის ძმებისა“, რომელიც [illegible] იბეჭდება.

ამათ მიზეზით საქართველოს დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო და ამავე მიზეზით საქართველოს თავისუფალ სამეფოდ დარჩენას მალამოდ ვერ დაედო იმპერატორის ალექსანდრე კურთხეულის გულკეთილობაც. როგორც გიცით, ამ ხელმწიფეს არ სურდა დამხობილიყო სამეფო, რომელმაც, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2000 წლის განმავლობაში გაუძლო ათასს ჭირგვარამს და თავისუფლება შეირჩინა.

ნიმუშად იმისა, თუ ვინ იყვნენ, ან როგორ ემსახურებოდნენ ახალს მთავრობას კუდა-აზნაურები, აქვე მოგვყავს „ათისტატი“, შემოწმებული და დამტკიცებული აპრილის 16-ს 1813 წელს *).

ათისტატი. მოწმობა აზნაურის იოანე საყვარელიძისადმი. 1812 წარსულს წელს ესე იოანე საყვარელიძე, მცხოვრებელი თელავის ქალაქსა შინა, დროსა ჩემის მოურაობისასა თელავის უეზდსა შინა, იქმნა აღმსრულებელ ერთგულებითის ვალისა მათის იმპერატორებითის დიდებულების უოვლად უმოწყალესის ხელმწიფისა, ამ სახედ: დროსა მეორისა ბუნტისასა გადმა გრემს იდგა-რა უძლეველი მხედრობა ციხესა შინა გრემისასვე, და მაშინ შემოადგა პირისპირ წინააღმდეგი ხალხი და ესროდენ ციხესა მას და სალდათთა, მაშინ შეკრეს მათ ყოველნი მისასვლელნი ადგილნი, ფონნი და გზანი, და ვერდარა მივიდეთ მათი წიგნები და ვერცარა ჩვენი მივაწვდინეთ. მაშინ საჭირო იყო წიგნის წამღები და პასუხის მომტანი და არავინ გაჩნდა. დროსა ამას თვის გამომმეტებელმან ჰქმნა ერთგულება და აღასრულება ვალისა: წავიდა გადმა და შემართა უშიშრად, მიიტანა მან წიგნი და მოიტანა პასუხი და სხვებიცა იერთგულა. ამისთვის ვაძლევ მოწმობასა ამას ხელის მოწერითა ჩემითა 1813 წელს, აპრილის 16-სა დღესა. მაიორი თავადი სოლომან ავალოვი“.

ამასვე ამოწმებენ არხიმანდრიტი ბოჭორმისა ილია და გრემის ციხეში მყოფი თავადი მაყაშვილი.

ბერი.

---

*) დაწერილია სქელს ლურჯს ქაღალდზე.

მუშა და კანონი

(დასასრული *)

რუსეთის ფაბრიკა-ზავოდის მუშათა კლასი (სულ ასეთი მუშა რუსეთში 2,000,000-ია) მეტად ძნელ პირობებში იმყოფება,—ერთის მხრივ იმით, რომ მოკლებულია კავშირებად შეერთების უფლებას და, მაშასადამე, ფაქტიურად მშვიდ ბრძოლას დამქირავებელთან; მეორეს მხრივ—რუსეთის მუშათა კანონმდებლობა ძლიერ განუვითარებელია და მუშათა კლასის ინტერესებს ცოტათ იცავს. ამ ბოლო დროს კანონმდებლობა, ცოტად თუ ბევრად, სცდილობს მშიერ პროლეტარიის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კაპიტალისტს დიდ ქონების წყალობით მრავალი საშუალება აქვს პროლეტარის გასაძარცვავად. პროლეტარი უმისოდაც ხელ-ფეხ შეკრულია. მუშებს რუსეთში არა აქვთ კანონიერი იარაღი კაპიტალთან საბრძოლველად. ამასთან კაპიტალის ბრჭყალები ხშირად იმდენად სჭრავს მუშა ხალხს, რომ იმისი მდგომარეობა აუტანელი ხდება. ამიტომ სრულიადაც არ არის გასაკვირველი, თუ მშრომელნი კანონის დარღვევით იცავენ თავიანთ თავს კაპიტალისტისაგან. ასეთი არა ლეგალური ბრძოლა იწვევს ჩვეულებრივად ადმინისტრატიულ რეპრესიებს, რასაც ცუდი გავლენა აქვს ნაკლებად დამნაშავე მუშათა კლასზე.

არ შეიძლება მაინც არ აღვიაროთ, რომ კაპიტალისტის ინტერესებიც იბღალება გაფიცვის დროს, რადგან წარმოების მრავალი დარგი ითხოულობს შეუწყვეტელ შრომას. გარდა ამისა ხანგრძლივი გაფიცვა დიდად მავნებელია თვით ხალხის მეურნეობისათვის, რადგან ხანგრძლივი შეწყვეტა წარმოებისა ცუდად მოქმედობს იმ საქონლის ფასზე, რომლის გატანაც ბაზარში გაფიცვის გამო შეწყდა. მაშასადამე, გაფიცვები მავნებელია მომხმარებლისათვისაც. ამ გვარად შრომისა და კაპიტალის შეტაკების დროს უწინარეს ყოვლისა და უფრო მეტად იტანჯებიან მუშები, მერე კაპიტალისტი და მომხმარებელი. აქედან ის აზრი შეგვიძლიან გამოვიყვანოთ, რომ მუშაობის შეწყვეტა ფაბრიკებსა და ზავოდებში საზარალოდ მოქმედებს მთელ ხალხის მეურნეობაზე. თუ ეს მართალია, მაშინ საჭიროა გამოვარკვიოთ ის მიზეზები, რომლებიც გაფიცვებს იწვევენ.

ზევით უკვე განვიხილეთ მუშათა კავშირების მოღვაწეობა. აღნიშნული იყო კავშირების უმთავრესი ზრუნვა: სამუშაო დღის შემცირება. როგორც სტატისტიკურ ცნობებიდანა სჩანს, 1881 წლიდან 1886 წლამდე შეერთებულ შტატებში 12,48% გაფიცვებისა მოხდა სამუშაო დღის შესამცირებლად. ამავე აზრით დასავლეთ-ევროპაშიაც ხშირია გაფიცვები, ნამდვილი ცნობები გაფიცვების შესახებ რუსეთში არ არის, მაგრამ დაახლოვებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბევრი გაფიცვა სამუშაო დროს შესამცირებლად მოხდა. ამ გვარად მრავალ გაფიცვისა და აღელვების მიზეზი გრძელი სამუშაო დღეა.

ამ შემთხვევაში რუსეთის მუშის მდგომარეობა დასავლეთ-ევროპის მუშასთან შედარებით აუტანელია. რუსეთში სამუშაო დღე საშუალოდ უდრის თერთმეტ საათ ნახევარს, ხოლო ზოგიერთ წარმოებაში თორმეტი საათიც არის. პროფ. იანჟული სწერს: „უმეტესად მიღებულია სამუშაო დღედ თორმეტი საათი. ბევრ ქარხანაში მუშაობა 12—14 საათამდე გასტანს ხოლმე. ზოგგან სამუშაო დღე უდრის 15—16 საათს დღე-ღამეში; 16—18 საათამდე მუშაობა გრძელდება ჭილოფის ქარხნებსა და ჩითების წარმოების განყოფილებებში: დებვის, დაწყობის და დაჩითვის კორპუსებში.“

შვეიცარიასა და ავსტრიაში სამუშაო დღე განსაზღვრულია თერთმეტის საათით. გერმანიასა და ინგლისში სამუშაო დღე არ არის განსაზღვრული, მაგრამ კავშირთა საბჭოს გერმანიაში და პარლამენტს ინგლისში შეუძლიანთ შეამცირონ სამუშაო დღე. რუსეთში მცირეწლოვანნი უფრო საზარელ მდგომარეობაში იმყოფებიან. უფრო 12 წლის ბავშვს ნება აქვს იმუშაოს ფაბრიკებსა და ზავოდებში. საფრანგეთში მცირეწლოვანებს სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობის უფლება აქვთ 13 წლიდან, გერმანიასა და შვეიცარიაში მხოლოდ 14 წლიდან. ღამე მუშაობა ახალგაზრდებისათვის (18 წლამდის) აკრძალულია შვეიცარიასა, გერმანიასა, ინგლისსა, საფრანგეთსა და ავსტრიაში. ჩვენის სამრეწველო დებულების მე-122 მუხლი უკრძალავს ღამე მუშაობას 15—17 წლის კაცებსა და ქალებს, მაგრამ მე-124 მუხლი ამბობს: „შეწყნარებულ შემთხვევებში (მუშაობის ხანგრძლივ შეწყვეტის შემდეგ ან ბევრ სამუშაოს დროს) გუბერნატორს შეუძლიან ნება დართოს ვაჟებისა და ქალების ღამე მუშაობისა. ამნაირად მე-122 მუხლი ჰკარგავს თავის ძალას, მე-124 მუხლი კი უფლებას აძლევს კაპიტალისტს ისარგებლოს ბავშვების შრომით. ერთის სიტყვით, რუსეთში სამუშაო დღე ძალიან ხანგრძლივია. ბ-ნმა დემენტიევმა შეჰკრიბა ცნობები სამუშაო დღის შესახებ მოსკოვის გუბერნიის 259 ქარხანაში. ამ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რამდენად მეტს შრომობს რუსეთის მუშა, ვიდრე ინგლისის და ამერიკისა. ვსთქვათ, ინგლისში ერთი კვირის მუშაობა უდრის 100 საათს, რუსეთში იქნება:

ქიმიურ წარმოებაში	100—113,
ჩითისა	116—136,
სეფეიქროს	129—141,
თუჯის ჩამოსასხმელსა	141—146,
რკინისა	128—165.

ამ მეორე ცნობებიდანაც სჩანს, როგორ არა სასარგებლო პირობებში იმყოფება მუშა რუსეთის ქარხნაში. ასეთ დიდ შრომას ძალიან სამწუხარო გავლენა აქვს მშრომელ ხალხის ჯანმრთელობაზე. მშრომელ ხალხისთვის კი ძლიერ ძვირფასია ჯანმრთელობა და მხნეობა, რადგან ჯანმრთელობა და ენერგია უმთავრესი სალარო მუშის და იმის ოჯახის გამოკვებისა. აი, ამიტომაა საჭირო, რომ კანონის ავტორიტეტი იყოს მიმართული წარმოების ამ მხარესკენ.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2685.

ლობის ალქრა ვლეხების ვადის გაგრძელების შესახებ.

◆ დღეს, 10 დეკემბერს, მოხდება **ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება**. ამ კრებაზე პირველად თავმჯდომარეობას გასწევს ქალაქის ახალი მოურავი ბ-ნი ვერმიშევი.

◆ კავკასიის სატილიქსერო კომიტეტმა შეიმუშავა წესი **ამერიკულ ვაზის სანერგეებიდან** როგორც დამყნილი, ისე დაუმყნელ ვაზების გატანისა. მსურველთ შეუძლიათ დაბარება ან პირადად ვაზის წალება სანერგეებიდან ამა დეკემბრიდან იმ დრომდე, ვიდრე გამოილევა გასაცემად დამზადებული მასალა. ვაზი გაიცემა ნაღდ ფულზე. ნახევარი გადახდილ უნდა იქმნას დაბარებისას, ნახევარი—ვაზის მიღებისას. უკმაყოფილება ნაყიდ მასალის უვარგისობის შესახებ მყიდველმა უნდა მალე აცნობოს სანერგეს. რადგან კანონით აკრძალულია ფილოქსერიან ადგილებიდან ამერიკულ ვაზის წალება უფილოქსერო ადგილებში, ამიტომ მყიდველმა უნდა აცნობოს საფილოქსერო კომიტეტს ან სანერგეს გამგეს, სად აპირობს იგი ვაზის გაშენებას. კომიტეტს რამდენიმე სანერგე აქვს ისეთ ადგილას, საიდანაც ყველგან შეიძლება ვაზის წაღება. კახეთში არსებული კონდოლის სანერგე მასალის გაგზავნას არ კისრულობს, რადგან იგი დაშორებულია რკინის გზას. იმან, ვისაც სურს დაწვრილებითი ცნობები მოვლა-გაშენებაზე, უნდა მიჰმართოს სანერგეების ზედამხედველს ბ-ნ სტაროსელსკის.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის დადგენილებით, ძირიანად აუთხრიათ ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ვენახი, რომელიც ცხლა-ხან გააშენეს და ვაზი **ფილოქსერის მხრივ საეჭვო ადგილიდან** (ქართლიდან) წაიღეს. აჩეხილ ვენახში ფილოქსერა არ აღმოჩნდა. მონასტერს უფლება არა აქვს ორი წლის განმავლობაში ამ ნავენახარში ვაზი ჩაჰყაროს.

◆ **როგორც ხევსურეთიდან გვატყობინებენ**, სოფ. შატილში წასულ კენჭ-ნარგებ ხევსურების ჩამოსაყვანად ბოქაულებს ფშავ-ხევსურეთისას ოზიაშვილს, ერწოისას—ცისკარაშვილს და თარჯიმანს—ყარალაშვილს 22 საერობო დარაჯთა რაზმით უკვე ჩამოუვლიათ. თიანეთის მაზრის უფროსის განკარგულებით, ბოქაულები შეჰპირებიან ხევსურებს, კენჭ-ნარგებ ყმაწვილებს რუსეთში აღარ გავიყვანთ სამსახურში და აქვე, საქართველოში ჩავრიცხავთო. ახლად კენჭ-ნარგები ხევსურები წამოუყვანიათ და დუშეთის სამაზრო-სამხედრო უფროსისათვის გადაუციათ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 8 ნოემბერს, ქალაქის მოურავის ვერმიშევის თავმჯდომარეობით, განიხილა საკითხი მოურავსა და გამგეობის წევრთა შორის **სამუშაოს განაწილების შესახებ**. რადგან ამ საკითხის გამო მზადდება მოხსენება საბჭოში წარსადგენად, გამგეობამ დაადგინა, დასტოვოს არსებული წესი ამ მოხსენების განხილვამდე საბჭოში.

◆ საერო განათლების სამინისტროს განუმარტავს, რომ სახალხო სკოლების ინსპექტორებს უფლება აქვთ გამართონ ხოლმე **საპედაგოგო თათბირები**. ამ თათბირებს დაესწრებიან საქალაქო სკოლებისა და სხვა სასწავლებლების მასწავლებელნი. ეს განმარტება კავკასიის სამოსწავლო ოლქსაც მიუღია.

◆ 8 დეკემბერს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდა **სატეხნიკო საზოგადოების** წევრთა კრება. სხვათა შორის, კრებამ განიხილა ინჟენერ-ტეხნოლოგის ი. ბ. პოტკოვის მოხსენება—როგორის საშუალებით სჯობია საცხოვრებელ სახლებში ჰაერის გასუფთავება.

◆ კავკასიის წყლების ინსპექტორმა აცნობა გუბერნატორს, რომ ამ ჟამად თავისუფალი ინჟენერ-ჰიდრავლიკი არ მოგვეძებნება, რომელიც **თელავის მაზრაში** მდინარე კისისხევის ნაპირებს შეამაგრებდეს წყალდიდობისაგან, მაგრამ თუ ზარალი დიდი მოაქვს ამ მდინარეს და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს ამ წყლის ნაპირების გამაგრება, შეგვიძლიან ეხლავ გავგზავნოთ ერთი-ერთი ტეხნიკოსიო. გუბერნატორმა მოსთხოვა თელავის მაზრის უფროსს ცნობები იმის შესახებ, თუ ამ მდინარის ნაპირებზე რა შენობის აგებას აპირებს მაზრის უფროსი, რამდენი მასალა იქნება დამზადებული და ან რა დროისათვის.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: კვირას, 12 დეკემბრისთვის დანიშნულია გერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მრევლის კრება სტაროსტის ამოსარჩევად. ორჯელ უკვე იყო დანიშნული კრება, ერთი 28 ნოემბერს, მეორე 5 დეკემბრისთვის, მაგრამ არც ერთხელ არ შესდგა.

◆ „ტფილისის ბირჟევუთა მოვარედ საზოგადოების“ თავმჯდომარემ გენერალმა ფონ-შპრაკუმ სთხოვა ქალაქის გამგეობას, მეტი შემწეობა აღმოუჩინეთ საზოგადოებას, რადგან არა ჰყოფნის ფული სამკურნალოს შესანახადაო.

◆ 9 დეკემბრისათვის დანიშნული საზოგადო კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა გადაიდო დღეს, 10 ნოემბრისათვის. კრება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება.

◆ ჩვენამდე მოიდო ახალი წიგნი: „სათვეო (კალენდარი) 1905 წლისა,“ შედგენილი და გამოცემული სიმონ მერკვილაძის მიერ. კალენდარი სუფთად არის გამოცემული და ღირს ორ შაურად. კალენდარს თან ახლავს ს. კ. ზუბალაშვილის სურათი.

◆ მოგვივიდა ახალი წიგნი „ორი ჟაბკორი“, პიესა ხუთ მოქმედებად და 7 სურათად ბიერ დე-კურსელისა, თარგმანი გ. აბაშიძის მიერ, გამოცემა ნიკო მარჯვლისა. ფასი წიგნისა ორი აბაზი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა 8 დეკემბერს დააჯარიმა თითო თუმნით სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის შემდეგი სახლის პატრონნი ტფილისისა: მე-2 უბანში: ზაქარია გიგაძე, მარიამ ელიზბაროვისა, ნატალია ფარსადანოვისა, ელისაბედ კორაპეტისა, ძმ. კ. და ა. ავეტისოვები, გიორგი აბზიანიძე, სალომე ხუციშვილისა, გრიგოლ ელიოზიშვილი, ელისაბედ ელიოზიშვილი და ნინო მარკოზოვისა; მე-3 უბანში: გეურქ დავითხანოვი, ნინო ბაგბეუქ-მელიქოვისა, ივანე თუმანოვი, ალექსანდრე დანდუროვი, ალექსანდრე არაქელოვი, სოლომონ ბადინოვი და გიორგი მახვილაძე; მე-4 უბანში: მაგდალინა ჯამასპიშვილისა, სოლომონ პუზინოვი, სოფიო ლაზარევისა, მარიამ გოგიევისა და ლიუბოვ პარენნაისა; მე-5 უბანში: ანნა გრიგორიანცი, ალექსი ამირხანოვი, ეკატერინე დიდზურაბოვისა, მარიამ ნარიმანოვისა, სოფიო ჩიგიანოვისა; მე-7 უბანში: ზაქარ მაილოვი, ორომსიმე პეტროვისა, მარიამ ელიზბარიშვილისა, კარაპეტ გორგიჯანოვი, სიმონ სიმონიანცი, მიხეილ როსტომაშვილი, სედრაკ არაქელოვი, იაკობ აფოპჯანოვი, იაგორ ნონეზოვი, ანნა ყასუმოვისა, გეურქ არუთინოვი, სარქის აბრამოვი, დარჩო პეტრუსოვი, ილია ხარაშვილი, არტემ მარტიროზოვი, გრიგოლ ავეტისოვი, იოხებ ბაბლუმოვი, მარქარ ბექ-ავაქოვი, სკირუმოვის სახლის მოიჯარადრე—ნინო კონდაშვილისა, მურად ჰოანეზოვი, მალაქია ვოდოჩკორიანი და გიორგი ისარლიშვილი.

◆ სოფ. ლომატურცხში (ახალქალაქის მაზრა), უეცრივ გარდაცვლილა თავის სახლში ადგილობრივი მკვიდრის ტერ-ღუკასოვის ქალიშვილი სერპუჰია ზორაჩიანცისა. განსვენებულის ძმებმა პოლიციას გამოუცხადეს, რომ მის სიკვდილში ეჭვი შეგვაქვს მის ქმარ ოვაკიმზე, რომელიც მეტად უდიერად ეპყრობოდა ხოლმე ჩვენს დასაო.

პრესსა

ს. პროტოპოპოვი სიამოვნებით აღნიშნავს გაზეთ „იუჯნ-ზაპისკი“-ში ახალ გაზეთების გამოცემის ამბავს, აქებს „ნაშა ჟიზნ“-სა და „სინ ოტეჩ.“-ს და თან ასე ახასიათებს „წარსულ“ დროს:

> ახალ გაზეთების გამოსვლის ამბავი მაგონებს სხვა დროს, როცა საზოგადოებისადმი უნდობლობა ყველგან და ყველაფერში იყო გაბატონებული. მაშინაც იყო ისეთი მომენტი, როცა თითქმის ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ახალი გამოცემა დაიბადა. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა გაზეთები იყო ეს ახალი გაზეთები! გაჩნდა კრუშევანის „ზნამია“, სკვორცოვის „სლოვო“, იარმონკინის „ზარია“, „გოლენიშევ კუტუზოვის „ოტეჩესტვო“ და სხვა. უნდობლობამ დაჰბადა ასეთი „ღირსეული“ მოღვაწეები და მათმა გაზეთებმაც იწყეს საძაგელი, ნამდვილი ბარბაროსული განგაში. ძნელი იყო ის დრო ახალგაზდობისათვის და ძველ თაობისათვისაც, რუსთა და არა რუსთათვის,—ყველასათვის, ვინც ნამდვილს „განთიადს“ მოელოდა და არა კრუშევანის „ზარია-“ს!.. ერთ-ერთ თავის დღიურში თავ. მეშჩერსკიმ გამოამჟღავნა საინტერესო ფაქტი, რომელიც მშვენიერად ახასიათებს პლევეს „ეპოქას დიდის უნდობლობისას“. მეო, აცხადებდა „გრაჟდანინ“-ის გამომცემელი და რედაქტორი, თავმეშჩერსკი, არასოდეს არ ვეკუთნოდი ეგრედ წოდებულ „პოლიტიკურად არა კეთილ საიმედო პირთ“; მიუხედავად ამისა რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავ, რომ „ვილაცეებმა“ ჩემი მოსამსახურეები მოისყიდეს და ჩემს კერძო ბარათებს სინჯავდნენო. თავ. მეშჩერსკიზედაც კი აიღეს ეჭვი, ისიც არა-კეთილ საიმედოდ აღიარეს! ამაზედ უფრო შორს „უნდობლობა“ სადღა უნდა წასულიყო?! ნეტავი თუ შეიძლება, რომ ასეთი დრო კვლავ დადგეს, კვლავ დაგვიბრუნდეს ის საზიზღარი სუსხიანი „ზამთარი“?!..

* * *

პეტერბურგის ზოგიერთ გაზეთებმა ერთი საინტერესო კითხვა აღძრეს: საკითხი შეეხება უცხოელ გაზეთების გამოწერას რუსეთში. საქმე ის არის, რომ ბევრ უცხოელ გაზეთის გამოწერა სრულიად აკრძალულია, დანარჩენებს ცენზურა სინჯავს საზღვარზე და, თავის შეხედულობით, შავის სალებავით აჭრელებს გაზეთებს, ასე რომ „შელებულ ადგილის“ წაკითხვა შეუძლებელია. გაზეთები ამბობენ, რომ ყველა სოციალისტური და დემოკრატიული გაზეთები რუსეთში აკრძალულია, იმათი გამოწერა არ შეიძლება. რჩება ლიბერალური და კონსერვატიული გაზეთები და ნუ-თუ რუსის განათლებული საზოგადოება იმდენად მოუმზადებელია, რომ ასეთ გაზეთების წაკითხვაც საშიშია მისთვისო?! „ნაშა ჟიზნ“-ი ამბობს, რომ არა თუ კერძო პირთ, გაზეთების რედაქციებსაც არ შეუძლიათ უცენზუროდ მიღება ისეთის უცხოელის გაზეთებისა, როგორიც არის, მაგალითად, „მატენ“. ეს ფრანგული კონსერვატიული გაზეთი რუსეთის შესახებ ცნობებს მარტო „გრაჟდანინი“-დანა და „ნოვ. ვრემ.“-დან იღებს, თავის წერილებს რუსეთზე „სვეტ“-ისა და „ნოვ. ვრ.“-ს შეხედულებაზე ამყარებს; მიუხედავად ამისა, ამ გაზეთის გამოწერის ნებაც-კი არ გვაქვსო უცენზუროდ! კანონით უცენზუროდ უცხოელ გაზეთის მიღების ნება აქვთ მხოლოდ იმ დიდ მოხელეთ, ვისაც „ტაინი სოვეტნიკისა“ და გენერალ-ლეიტენანტის ნაკლები ჩინი არა აქვთ. გამოდის, რომ

> „მატენ“-ის უცენზუროდ გამოწერა და კითხვა რუსეთში შეუძლია მხოლოდ ათი ათას ტაინი სოვეტნიკსა, გენერალ ლეიტენანტს და კიდევ უფრო მაღალ-ჩინიანს; ხოლო 139.990.000 რუსის ქვეშევრდომთ მთავრობა იმდენად უსუსურ ბავშვებად სთვლის, რომ ეშინია „მატენ“-ის კითხვამ არ ავნოსო! კანონის ძალით, უცენზუროდ გაზეთების გამოწერა არ შეუძლიათ: გენერალ-მაიორებს, დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკებს, ეპისკოპოსებს, გიმნაზიების დირექტორებს, პოლკოვნიკებს, სასამართლოების წევრთ, პოლიცმეისტერებს, ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარეთ და სხვა ამ გვარ ხარისხის მოხელეთ! ამაზედ მეტი უნდობლობა განა კიდევ შეიძლება? ნუ-თუ ეხლა მაინც არ უნდა მოისპოს ეს წესი?!..

თეატრი

ქართული დრამა (გ. გუნიას ბენეფისი, 8 დეკემბერი). ბ-ნ გუნიას ჩვეულებად აქვს ყოველ თავის ბენეფისზე ახალ-ახალი ორიგინალური პიესა უძღვნას ხოლმე ქართველ საზოგადოებას არტისტ-დრამატურგმა წელსაც არ უღალატა ამ თავის ჩვეულებას და ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, ერთი ახალი პიესა კიდევ გვაჩვენა. სახელად ამ ახალ პიესას ჰქვიან „ნათხარზე“ ანუ „ჩვენებური კენჭობანა“ და „თანამედროვე სურათებად“ არის გამოცხადებული. სამწუხაროდ, პიესა სუსტი გამოდგა და შიგ არავითარი „თანამედროვე სურათები“ არ აღმოჩნდა. პიესაში თავით ბოლომდე ლაპარაკია, ლაპარაკი თითქმის დაუსრულებელი, თავმომაბეზრებელი. სამი მოქმედებაა პიესაში. პირველ მოქმედებაში ლაპარაკობენ სხვა-და სხვა პარტიაზე, ბრძოლაზე, მატერიალიზმზე, იდეალიზმზე, კენჭებზე და მრავალ სხვა რამეზე. მეორე მოქმედებაში ჯერ ძმა არიგებს დას, მერე ცოლი ქმარს და ამით ლაპარაკიდან ბოლოს ის ირკვევა, რომ სოფელი სჯობია ქალაქს. მესამე (უკანასკნელ) მოქმედებაში აღმოჩნდება, რომ სოფელი სულაც არა სჯობიან ქალაქს, პირიქით—სოფელში უბედურებაც კი დატრიალდა: პიესის გმირმა მოულოდნელად რევოლვერი იკრა შუბლში, თავისი სული საიქიოსკენ გასტუმრა და ამით ბოლო მოუღო არტისტების დაუსრულებელ ლაპარაკს. აი, „მოკლედ შინაარსი პიესისა“.

ხუმრობა არ გეგონოთ. მართალია, პიესაში სიყვარულიც არის, ეჭვიანობაც, „საზოგადო საქმეც“ და მრავალი სხვა რამეც, მაგრამ არსადა სჩანს ის დედა აზრი, მთავარი ძაფი, რომელმაც უნდა ეს უნდა გადაბას და მთელ მოქმედებას სიცოცხლის სული ჩაჰბეროს. ვერ გაგვიგია, რათა ჰქვიან პიესას ან „ნათხარზე“ ან „კენჭობაა“. ვის რა დარჩა თხრად? პიესის გმირი, უხასიათო, უპრინციპო, სიცოცხლეს მოკლებული კაცი, თავ. მიხეილ კარმადალაძე, კვდება ისე, რომ გულების მეტს არაფერს სტოვებს. „კენჭობას“ ხომ არავითარი კავშირი არა აქვს პიესის შინაარსთან. მხოლოდ ლაპარაკიდან იგებს კაცი, რომ თავად მიხეილს კენჭი უყრეს და ჯერ აარჩიეს, მერე გააშავეს. გიმეორებთ, პიესას „თანამედროვე სურათებისა“ და „დრამისა“ სრულიად არა აცხია-რა. ეტყობა, ავტორს „როდაც“ თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა ზოგიერთმა პიესაში დაინახა ერთის მთავრის კერძო ცხოვრების აღწერა. ჩვენ არა გვგონია, რომ გამოცდილმა არტისტმა და თან მწერალმა დრამის მაგიერ პასკვილის მიწოდება გაჰბედოს. ყოველ შემთხვევაში, თუ მართლა ისეთი რამეა პიესაში, რაც საზოგადოებას მთავრების მოღვაწის კერძო ოჯახურ ცხოვრებას, უსათუოდ გამოკლებულ უნდა იქნას. არ შეგვიძლიან აქვე არ გვესაყვედუროთ ავტორს ორიოდე უწმაწურ სიტყვის გამო, რომელიც სცენიდან წარმოითქვა.

ჩვენმა არტისტებმა სუსტად, უხალისოდ და უგულოდ ჩაატარეს როგორც ეს პიესა, ისე მეორე, ბ-ნ გუნიას მიერვე თარგმნილი მხიარული კომედია, „ახირებული შემთხვევა“.

მაბენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს. წარმადგენას დაესწრო მთავარ-მართებლის თანაშემწე სამოქალაქო ნაწილში გენერალი მალამა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ნიჟნი ნოვგოროდიდან სწერენ „ნოვ. ვრ.“-ს, რომ ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა, იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა მიწვეულ იქმნას რუსეთის ქალაქის თვითმართველობათა წარმომადგენლების კრება. კორესპონდენტი აწერს ნიჟეგოროდის საქალაქო თვითმართველობის შევიწროებულ მდგომარეობას და, სხვათა შორის, შემდეგი სიგულისხმიერო ამბავი მოჰყავს სიპიაგინის მინისტრობის დროიდან. სიპიაგინმა ინახულა ნიჟეგოროდის ქალაქის გამგეობა და თან ახლდა გაზეთის კორესპონდენტი, რომელმაც აწერა ეს ამბავი და თავისი ნაწერი სიპიაგინის განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელეს წარუდგინა განსახილველად. მოხელემ ყურადღება მიაქცია კორესპონდენტის მიერ დაწერილ შემდეგ სიტყვებს: „ქალაქის თვით მმართველობა“. აქამდის ხმარებაშია აქ ეს სიტყვები? ჰკითხა მოხელემ, თავაზიანის ღიმილით ამილო ხელში წითელი ყარანდაში და გადაასწორა: „ქალაქის მმართველობა“. კორესპონდენტს მოყვანილი ჰქონდა აგრეთვე მინისტრის სიტყვა მწვალებლების მიმართ. მოხელემ სულ გადაამახინჯა ეს სიტყვა, უფრო მრისხანე და მკვეთრი კილო მიათვისა და ყურში უთხრა დამწერს: მინისტრის სიტყვის ნამდვილად გადაცემა არ შეიძლება „პოლიტიკურ მოსაზრების“ გამოო.

◆ ქ. ჩერკასის ადმინისტრაციამ ნება არ მისცა ადგილობრივ მწვალებლებს თავისთვის სამლოცველო აეშენებინათ, თუმცა მწვალებლებმა შემდეგის შუამდგომლობით მიმართეს მთავრობას: ნება მოგვეცით ეს ერთად-ერთი სამლოცველო ავაშენოთ, სადაც შორეულ აღმოსავლეთში დაღუპულ ჩვენი შვილების სულის მოსახსენებლად პანაშვიდს გადავიხდითო.

◆ რიგის სალიტერატურო საზოგადოებამ დაადგინა, შემდეგის შუამდგომლობით მიმართოს შინაგან საქმეთა მინისტრს: 1) საკანონმდებლო წესით ნება მიეცეთ კერძო სალიტერატურო და სამეცნიერო საზოგადოებათ, დამაარსებელთა სურვილისამებრ, შედგნენ, შეიმუშავონ და შესცვალონ თავისი წესდებანი ადმინისტრაციის ნება-დაურთველად; გამართონ ადმინისტრაციის ნებადაურთველად სასწავლებლები, წიგნთ-საცავ-სამკითხველოები და საჯარო კითხვები; გამოსცენ უცენზუროდ სხვა-და-სხვა ნაწერები და სხვ.

◆ გაზ. „რუს“-ს სწერენ ტვერიდან, რომ იქ 28 ნოემბერს პეტერბურგის ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის ყოფილმა სტუდენტმა ბ—მ მოქმედებით შეურაცხჰყო ტვერის პოლიცმეისტერი კირეევსკი. სტუდენტი ბ. პეტერბურგში ყაზანის მოედანზე დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა ტვერში, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. პოლიციამ ისე შეავიწროვა თურმე სტუდენტი ბ., რომ მან ვერსად ვერ იშოვა სამუშაო, ყველგან უარს ეუბნებოდნენ, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა და ამიტომ, მოთმინება-დაკარგულმა, პოლიცმეისტერს შეურაცხყოფა მიაყენა.

◆ „სარ. დნ.“-ი გადმოგვცემს: საგუბერნიო სამმართველოს მოუვიდა ბალაშოვის მაზრის სალამოს კურსების მასწავლებლისაგან განცხადება, რომ ს. ტურკში გახსნილ სალამოს კურსებზე ჩასაწერად მისულან ორი პოლიციის დარაჯი. ჯერ ვყოყმანობდი, მაგრამ, რადგანაც უარის თქმისათვის არაფერი საბუთი მქონდა, მივიღე,—იწერება მასწავლებელი. დაიწყეს თუ არა სასწავლებელში სიარული დარაჯებმა, სხვა მსმენელ-მოწაფეებმა აღარ ინდომეს პასუხის მოცემა სწავლის დროსო, ამბობენ, რომ პოლიციის მოხელეებთან არ შეგვიძლიან ლაპარაკიო. ბევრმა გამომიცხადა კიდევაც, რომ სრულიად არ ვივლით სასწავლებელში, თუ იქ დარაჯებიც იქნებიანო. თუმცა მასწავლებელი ვარ, უხერხულად ვგრძნობ თავს პოლიციის მოხელეთა საზოგადოებაშიო,—უმატებს მასწავლებელი და ითხოვს, რომ მთავრობამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, თორემ კურსებზე ორი პოლიციელის მეტი აღარავინ დარჩებაო.

ეს განცხადება განიხილა საგუბერნიო სამმართველომ და დაადგინა, მასწავლებელი მოვალეა სწავლება წეს-რიგზე აწარმოვოს და უფლება აქვს გარემოების დაგვარად დაითხოვოს ისინი, ვინც ასე თუ ისე აფერხებენ სწავლებასო.

◆ სოფლის საჭიროებათა გამომრკვევმა საბჭომ ს. იუ. ვიტტეს თავმჯდომარეობით, განიხილა სტატ-სეკრეტარის კულომზინის მოხსენება, რუსეთში პირველ დაწყებით სწავლის ყველასთვის მისაწვდენად საჭირო ზომების მიღების შესახებ. ეს მოხსენება საერო განათლების სამინისტრომ [illegible] სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს და, როცა პასუხი მოუვა, მაშინ სამინისტრო გამოსთქვამს თავის აზრს ბ. კულომზინის პროექტის შესახებ.

◆ დაბა ტროიანოვკაში ებრაელების წინააღმდეგ არეულობა მოხდა. 14 ნოემბერს კვირა დღით შეიკრიბა 59 გლეხი და ყვირილით „ვსცემოთ ურიებს, ყველგან სცემენ“-ო გაჰქანდნენ ებრაელების საცემრად. 48 ებრაელთა სახლში ერთი მთელი ფანჯარაც-კი არ დაუტოვებიათ. საღამოს მოვიდა ბოქაული და ხალხი დამშვიდდა. 28 კაცი სამართალშია მიცემული.

◆ ამ დღეებში ფოსტის უწყებებს გაუგზავნეს ცირკულიარი იმის შესახებ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში ხალხისთვის არ არის სავალდებულო ქუდის მოხდა.

◆ პროვინციალურ გამოცემათა წარმომადგენლების კრებამ საჭიროდ სცნო რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის სფერაში მოღვაწეთა კრების მოხდენა და სთხოვა პეტერბურგის ჟურნალისტებს, რაც შეიძლება, ჩქარა მოაწყონ ეს საქმე.

◆ პეტერბურგიდან დეპეშით აუწყებენ „რუს. ვედ.“-ს, რომ 30 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა პეტერბურგის და მოსკოვის ვექილთა საბჭოების ყველა წევრი, რომელთაც უნდა გადაეცათ მინისტრისათვის ვექილთა კრებების დადგენილებანი. მინისტრმა მიიღო მხოლოდ საბჭოების თავმჯდომარეები—ტურჩანინოვი და ნევიადომსკი, საჩქაროდ წაიკითხა ტურჩანინოვის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია და ჰკითხა ნევიადომსკის: „თქვენც ამგვარივე ქაღალდი გაქვთ“? „დიახ“,—უპასუხა ნევიადომსკის. მაშინ მინისტრმა გამოუცხადა, ვერ მივიღებ თქვენს რეზოლიუციებს, რადგან სახელმწიფოს წეს-წყობილების შეცვლას თხოულობთო.

ეროვბა ჩვენში და რუსული ენა

(წერილი რედაქც. მიმართ)

წავიკითხეთ „ტნ. ფურც.“ მე-2680 ნომერში „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრების“ ანგარიშში მოთავსებული მოხსენება ბ-ნ ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეისა. მომხსენებელი, სხვათა შორის, ამბობს: „კავკასიაში ერობის შემოღებას ის გარემოება აფერხებს, რომ მთავრობას ჰგონია, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არ მოიპოვება რუსულ ენის მცოდნეთა საკმაო რიცხვი; ამიტომ სამეურნეო საზოგადოებამ უნდა შეადგინოს სია თვითეულ მაზრაში რამდენი კაცია განათლებული, რომელნიც ხმოსნებად გამოდგებიანო“. ამ ამბავმა დიდ საგონებელში ჩაგვაგდო კახელები.

პირველ ყოვლისა გვაკვირვებს ის გარემოება, რომ იმას, ვისაც უნდა კარგად სცოდნოდა ჩვენი ავი და კარგი, ისიც კი არა სცოდნია, რის ცოდნაც კალენდრის გადასინჯვით შეიძლებოდა. ჩვენ ხომ შორეულ-აღმოსავლეთში ჯერ არ გადვესახლებივართ, ჯერ ისევ ძველ კერიაზე ვსხდოვრობთ და ნუ თუ მთელი საუკუნოების ურთიერთობით იმდენი ეგრედ ვერ დავიმსახურეთ, რომ უბრალო კალენდრული ცნობა მაინც ჰქონოდათ ჩვენზე. სწორე მოგახსენოთ, ძალიან გვატკინა გული დაუმსახურებელმა უყურადღებობამ.

ამ გულის ტკივილს გავუძლებდით, რომ სხვა მხრივ უფრო სამწუხარო არ იყოს ჩვენთვის ზემოდ მოყვანილი ამბავი.

მოგეხსენებათ, როგორც ყველგან, თელავშიაც იყო კრება სამეურნეო საკითხების განსახილველად. ამ კრებაზედ 60 მეტი სხვა და სხვა წოდების წარმომადგენელი იყო გარდა გლეხებისა, რადგან, როგორც კრებაზედვე გამოირკვა, გლეხების დასწრება უსაგნო იქნებოდა, კრებაზედ რუსულ ენაზედ მოლაპარაკენი იყვნენ ეგელანი და ადგილობრივ ენაზედ თარგმნის ნებართვა-კი არ იყო მიღებული. ამ კრებაზედ ბევრჯერ დაგვწყდა აზრი თვით იმ გლეხისა, რომელიც დავიწყებული იყო, მაგრამ ეს საჩივრობა ჩაიფუჩხდა. აქვე გამოითქვა, შორისუფალი აგრეთვე სამგლოვიაროდ საგანსაო, მაგრამ ვინ იყო გამგონი?

ყოველ წლიწადს თელავში სდგება კრება „კახელ მევენახეთა საზოგადოებისა“, ესწრება 40—60 წევრამდე, უმრავლესობა თელავის მაზრიდან არის. ყოველ კრებაზედ გარეულნი არიან რუსულის არ მცოდნენი თუმცა ეს საზოგადოება თავისუფალია, ანუ ნება დართულია თავის სამშობლო ენაზედ ილაპარაკოს, მაგრამ თვითვე უარ ჰყოფს თავის უფლებას, თავის დედა-ენას, რომელზედაც, როგორც ადაარებენ, „არ ეხერხებათ“ ლაპარაკი. დიდად გულ-ნატკენნი თხოულობენ „გარიგულნი“, ჩვენც გაგვაგებინეთ რამე, ჩვენც ამხანაგები ვართო, მაგრამ ამაოდ. შედეგად მარტო ჯერ ფშვინვა და მერე ხვრინვა მოისმის ხოლმე კრების დარბაზში.

ნათქვამიდან ცხადად სჩანს, რომ თელავის მაზრას საკმაოდ ჰყავს რუსულ ენის მცოდნენი, თუ კი მართლა ერობის შემოღებას აფერხებს ეჭვი ამის შესახებ. სამწუხაროდ და სავალალოდ ჩვენდა, თელავის მაზრის ასეთი რუსულის მცოდნენი უფრო მეტი ჰყავს, რომელთაც დვინის გაჭრობის შესახებ ლაპარაკიც-კი „არ ეხერხებათ" სამშობლო ენაზედ. ამ მხრივ „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების" კომისია დაბრკოლებას არა ნახავს. კავკასიის ყველა მაზრა ერთი ხუთად და ზოგან ერთი ათად მეტს დაასახელებს რუსულ ენის მცოდნეს, ვიდრე ერობის შემოღებისათვის იქნება საჭირო. ძნელი ის არის, ვაი თუ ამ მორუსულეთ მაშინაც „არ ეხერხებოდეთ" ადგილობრივ ენაზე ლაპარაკი! ვაი თუ მაშინაც გარიყული დარჩეს ჭირისუფალი? გარდა ამისა, ნუ თუ კავკასიაში აუცილებლად საჭიროა რუსული ენა? განა არა კმარა, რომ საქმის მთელი წარმოება იყოს სახელმწიფო ენაზედ?

რა უნდა იყოს ის ერობა, რომელიც არ ჩაიხედავს ხალხის ცხოვრების სიღრმეში და არ ჩაახედებს ხალხს თვის მოქმედებაში? ეს კი შეუძლებელია, თუ იმ უმრავლესობასაც არ მიიწვევენ, რომელმაც რუსული ენა არ იცის.

ნადიკვრელი

წერილები

ქავკასი. 28 ნოემბერს, საღამოს ექვს საათზედ, კრასნო რიადის ქუჩაზედ, ხელოსანთა ნოქრებმა მოიყარეს თავი და გამოუცხადეს თავიანთ ოსტატებს მუშაობაზედ უარი იმ მიზეზისა გამო, რომ ნოქრები დილის ექვსი საათიდან დაწყებულ საქმეს აგრძელებენ ღამის თერთმეტ საათამდის. ამასაც არ აკმარებდნენ და უქმე დღეებშიც კი ამუშავებდნენ. მოთმინებიდან გამოსულმა ნოქრებმა ზემოხსენებულ საშუალებას მიმართეს და გამოუცხადეს თავიანთ ოსტატებს, თუ რომ ექვსი საათიდან ექვს საათამდის გვამუშავებთ, ხომ კარგი, ვიმუშავებთ, და თუ არა, თავს დავანებებთ მუშაობასაო. ოსტატებმა, სხვა ხერხი რომ ვერ იხელეს, პოლიციას მიჰმართეს შემწეობის აღმოჩენისათვის. კანონის ძალით, ოსტატებს ნება აქვთ დღეში მხოლოდ 10 საათს ამუშაონ ნოქრები და მეტი კი არა. ამიტომ, რა თქმა უნდა, მთავრობაც დააკმაყოფილებს ნოქრების კანონიერ მოთხოვნილებას.

2 დეკემბერს, დილის 11 საათზედ, აუარებელმა საზოგადოებამ, წარჩინებულ სამხედრო პირთ და ქალაქის წარმომადგენელთ გაისტუმრეს შორეულ აღმოსავლეთში ადგილობრივი მე-7 სამთო ბატარეია. პარაკლისის შემდეგ ჯარის კაცებს დაურიგეს პატარა გულის ჯვრები, ხოლო აფიცრებს—პატარა ხატები. შემდეგ რკინის გზის სადგურზე წამსვლელ აფიცრებს გაუმასპინძლდნენ თითო ჭიქა შამპანურით. ერთი ქართველი აფიცერიც ერია, გვარად წიკლაური, და ქართველ ჯარის კაცებსაც ბლომად შეამჩნევდით.

ბური

ს. გუბი (იმერეთი). ქურდ-ბაცაცებმა ჩვენსკენაც იჩინეს თავი. ამას წინად გასტეხეს აქ საამხანაგო სავაჭრო და წაიღეს ორმოც მანეთამდის წვრიმალი ნივთები. შემდეგ მიუხტნენ ერთ გლეხს ღამე სახლში და მოსთხოვეს ფული. რამდენიმე მანეთი ჰქონდა, წაართვეს, ბევრიც სცემეს და გაუდგნენ გზას. ნოემბრის დამდეგს პატარა ჯიხაისში დაეცნენ ერთს მოსახლეს, შეუცვივდნენ სახლში, წაართვეს სამას მანეთამდის ფული და ოქროს ნივთები, ბევრიც სცემეს და ისე წავიდნენ. ახლა ისევ დაუბრუნდნენ გუბს, აქაურებს გამოუგზავნეს ბარათები და მუქარით უთვლიან, ყოველ საათსა და წუთში გველოდეთ, თუ სადმე გაბადიათ ფული, მოუყარეთ თავი და დაგვახვედრეთ, თიარემ თუ ცალიერი დაგვხვდებით, ცოცხალს არავის დაგტოვებთო და სხვა.

სოფლელი მუშა.

ქვემო რაჭა. ამ ათი წლის წინად რამდენმამე სოფელმა იყიდა თავად იაშვილისაგან ერთი დიდი მთა. საიაშვილო მთა ერთად ერთი მთა არის მთელ რაჭის მაზრაში, სადაც მზადდება ნაძვის ხისაგან ყავარი და მოიპოვება მრავალი კაი ღირსების ხე-ტყე. ამისათვის ბევრმა ღარიბმა გლეხმა ივალა ფული და შეიძინა საიაშვილო მთის ნაწილი. როდესაც გლეხებმა მთა იყიდეს, იგი გაუყოფელი იყო და ეკუთვნოდა რამდენსამე ძმასა და ბიძაშვილს. დარჩა უყიდელი ერთი ნაწილი, რომელიც იაშვილისაა. იმ იაშვილმა სთხოვა მთავრობას, ვინაიდან მთა გაუყოფელია, მზრუნველი დაადგეს თავზე და მთის სარგებლობა ყველას აეკრძალოსო. მართლაც მთელ მთას მზრუნველი დაუყენეს და ყველა მონაწილეს აეკრძალა მთიდან სარგებლობა. მზრუნველი ვისთვის ზრუნავდა, ეს მხოლოდ ალაჰმა უწყის. საწყალ მონაყიდე გლეხს-კი ერთი წკეპლის გამოტანა არ შეეძლო მთიდან. თუ გაბედავდა და გამოიტანდა გლეხი მთიდან ხეს ან ყავარს მაშინვე გაჩნდებოდნენ ტყაოსები და რაც ღირდა ხე-ტყის მასალა, ხუთ იმდენს აზღევინებდნენ და თითონ ჯიბეში იდებდნენ.

წასულ წელს მოიყარა ერთად თავი საიაშვილო მთის ყველა მონაყიდემ, დაადგა იმ აზრს, აერჩიათ ერთი კაცი ორ-სამ სოფელს და მიეცათ ვექილობა მთის გაყოფის თაობაზე. ს. წესმა, ლიხეთმა და კვაცხუთმა აირჩიეს ვექილად კვაცხუთს მცხოვრები გლეხი სტ. ბიჭაშვილი. პირობა დასდეს ერთმანეთში, როდესაც ბიჭაშვილი მთას გაჰყოფდა, მაშინ თითეულ გლეხს უნდა მიეცა ოთხ-ოთხი მანეთი და თუ ვინმე პირობას დაარღვევდა, ე. ი. დანიშნულ დროზე ფულს ვერ მისცემდა ვექილს, იმ შემთხვევაში ჯარიმა უნდა ეზღოთ თითეულ გლეხს ას-ასი მანეთი. ბიჭაშვილმა სთხოვა მთავრობას და წელს დანიშნეს მიწის მზომელი მთის გასაყოფად. მიწის მზომელმა თითეულ სოფელს ცალ-ცალკე მიუზომა მთა. ვისაც შეეძლო, გადაუხადა ბიჭაშვილს დაპირებული ოთხ-ოთხი მანეთი, დარჩა რომელიმე გლეხი (სულ ათი კომლი), რომელთაც ვერ მისცეს ვექილს ბიჭაშვილს თავის დროზე ოთხი მანეთი. შეუძლებლობამ და სიღარიბემ დაარღვევია საცოდავ გლეხებს პირობა, ბიჭაშვილმაც ისარგებლა ამითი და პირობა წარუდგინა მოსამართლეს, მსაჯულმა დააკისრა საცოდავ გლეხებს გადასახდელად ას-ასი მანეთი. ეხლა უგზავნიან საწყალი გლეხები შუაკაცს ვექილს და აძლევენ ზოგი 30 მანეთს, ზოგი 40 მან., მაგრამ ბიჭაშვილი ცივ უარზე სდგას, არავის თხოვნას სიახლოვეს არ იკარებს. ერთმა გლეხმა თავისი ნაწილი მთისა (თითონ გლეხს ნაყიდი აქვს 40 მ.) მთელად აძლია ბიჭაშვილს, მაგრამ ამ უკანასკნელმა გლეხის ხვეწნას ყურადღება არ მიაქცია. გვიკვირს, რად სჩადის ასეთ საქმეს ბიჭაშვილი. საწყლებს შიმშილით სული ხდებათ და საიდან გადაიხადონ ას-ასი მანეთი?

ვანო ჰეჭინაძე

კრებალო (ლეჩხუმი). აქაური ვაჭრები აქნამდისაც გვაძრობდნენ, ბატონო, ტყავსა და ეხლა ხომ უარესს გვიშვრებიან. მანჯურიაშიაც ნუ ჰქნას ღმერთმა ისეთი სიძვირე ყოველნაირ სავაჭროსი, როგორც ჩვენშია (რაჭა-ლეჩხუმში). სოფ. კრებალო, რომელიც 66 ვერსით არის დაშორებული ქუთაისს, ჩინებული ბაზარია. აქ სრის ყოველნაირი დუქანი, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი ძვირია. რომ იტყვიან: „ზოგისა ზამბა ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო", ამ ჩვენს კრებალოზე ყოფილა გამოჭრილი. თუ შენ მიიყვანე ან მიიტანე რამე გასასყიდად, ძროხას თიკნად გადაგიქცევენ და იმის ფასში აგაცქვლევენ, ხოლო თითონ რასაც მოგყიდიან, ერთი-ორად გიანგარიშებენ, „ჩხუბმა (ომმა) გააძვირა, მანჯურიაში მიაქვთო" გაიძახიან ეს ვაჭატონები. რასაკვირველია, მანჯურიაში ყველაფერი საჭიროა, მაგრამ, რა ვიცი, კრებალოს შესახებ როგორ გახდა. სად მანჯურია და სად კრებალოში გასასყიდი კვერცხები! მაგრამ ენას ძვალი არა აქვსო, მოგეხსენებათ, და აქაური გულ-უბრყვილო მუშტარიც ჩარჩის ენის ტრიალს სრულს ჭეშმარიტებად სთვლის. როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, აქ ყველაფერი ორ-ფასად გვეჯდება და ვერ ვღირსეთ იმისთანა საშუალებას, რომ ამ გაჭირვებიდან გამოგვეყვანოს. კარგი, სადი საქონელი რომ იყიდებოდეს, კიდევ შეურიგდება კაცი ამ მდგომარეობას, მაგრამ სავალალო ისაა, რომ საქონელიც უვარგისია. ფუთი მარილი აქ 70—80 კაპ. ფასობს, თუმცა თითონ ვაჭარს უჯდება არა უმეტეს 35—40 კაპ., ნავთი, შაქარი და სხვა სავაჭრო ასევე იყიდება. ვაჭარი დამპალ-დუმპალ და უვარგისს საქონელს „პერვი სორტი"-ს სახელით აჩენებს ხელში ყველას. დ. ონი ქუთაისიდან 108 ვერსზეა და იქ ბევრად უფრო იაფია ყოველგვარი სავაჭრო, ვიდრე ჩვენს კრებალოში, რომელიც 42 ვერსით უფრო ახლოა ქუთაისზე. ნუ თუ ამ ორმოც-ორ ვერსზე გადატანა საქონლისა არაფრად ღირს? წარსულ ზაფხულს მთავრობამ ნება დართო, რომ აქ კვირაში ორჯელ ბაზრობა გამართულიყო და ამისათვის კარვებიც კი ააგეს, მაგრამ ერთ კაცსაც არ გაუჭაჭანებია იქ. გვეგონა კი, ამით მაინც რამე გვეშველებოდა.

ეხლა კრებალოს ახლო აფთიაქი გაიხსნა. დიდი სასიხარულოა ეს ახლო-მახლო მცხოვრებთათვის, რადგან უწამლობით ბევრი სულ უბრალო სენისაგან ვთხოვება წუთი სოფელს.

გორის-ძირელი.

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

8 დეკემბერი

სტამბული, 7 დეკემბერს. გუშინ ღამეს დაიწვა ბოლგარიის ეგზარხიტის კანცელარია. დაიწვა ქაღალდების უდიდესი ნაწილი.

ვენა, 8 დეკემბერი. წავიდა ბერლინს მთავრობის 4 კომისარი გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ მოლაპარაკების გასამართავად. 11 დეკემბერს დელეგატები ვენას დაბრუნდებიან.

პეტერბურგი. რუსეთის საიმპერატორო სთეატრო საზოგადოებამ განიზრახა საკუთარი ჟურნალის გამოცემა პეტერბურგში. ჟურნალის დანიშნულებაა სთეატრო საქმის ყველა დარგის შესახებ წერილების ბეჭდვა. ამნაირად სურთ უფრო მჭიდრო კავშირი შეჰქმნან არტისტებისა და სთეატრო საზოგადოების შორის. დიდმარხვაში, როცა ჩვეულებრივ მოსკოვში არტისტების კრება იმართება, კვირაში რამდენსამე დამატებას გამოსცემენ, სადაც სხვა-და-სხვანაირი ცნობები იქნება დაბეჭდილი.

პეტროზავოდსკი, 8 დეკემბერი. დაარსდა ექიმთა საზოგადოება, რომლის მიზანია გუბერნიის სინიტარულის მხრივ შესწავლა, ხალხში ჰიგიენურ ცნობების გავრცელება, წიგნაკების ბეჭდვა და სამეცნიერო კითხვების გამართვა.

რომი, 8 დეკემბერი. სენატმა მიიღო სავაჭრო ხელშეკრულობა შვეიცარიასთან.

პარიჟი, 8 დეკემბერი. ბოლგარიის დიპლომატიურმა აგენტმა ბოლგარიის მთავრის საკუთარი წერილი გადასცა გერმანიის იმპერატორს: ამ წერილში მთავარი მადლობას უცხადებს იმპერატორს, რომელმაც ნებართვა მისცა ბერლინში ბოლგარიის დიპლომატიური სააგენტო დაარსონ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 9 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. . . .	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაზე	—
პარიზისაზე 100 ფრანკზე.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	92½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	89⅛
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	425
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266½
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	99½
4½% გირაგ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	87⅛
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	238

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშზაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 53 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ჯაფარიძის ქ., № 121.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

სავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო სავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, ... ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს მგგ... ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-... ისა. გამგე ექიმი მირზოევი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ვლადიმიროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ველიამინოვის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის სავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ვეკუნოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის სავადმყოფო აქ იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო სავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

№ 4711

სალებავი

თმებისა

კაკლის ექსტრაქტისაგან.

ეს სალებავი მშვენიერია. სულ ცოტა ხანში იმ ფერს აძლევს თმას, თუნდა ჭაღარა და წითელიც იყოს, რა ფერიც სასურველია, ღია ფერიდან დაწყებული შავამდე. რაც უფრო ხშირად იხმარება ეს სალებავი, მით უფრო მუქი ხდება თმა. № 4711—ამ სალებავს, კაკლის ექსტრატისაგან დამზადებულს, შეიძლება უპირატესობა მიეცეს ყველა სხვა სალებავთან (თმის) შედარებით, რადგან იგი არავითარ მავნე ნივთიერებას არ შეიცავს.

ფერები:

შავი, ნარინჯი, წაბლის ფერი და ღია ფერი.

პატარა შუშა ღირს 1 მან. 20 კაპ.

დიდი „ „ 2 „ — „

იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიაში

ფერდ. მიულჰენსი,

რეინის კელნში განყოფილება რიგაში.

მისის იმპერატორებით უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

(6—მც.—3)



СѢДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის ქ., სახლი [illegible], № 92 [illegible] ახლოს. (წ.—176—90)

ქიოსკში,

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—მოსე ჯანაშვილისა	—	1
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	6
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	2
ითვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—მიტტისა	—	2
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	8
დასტურ-ლამა	—	2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	30
თეზეოლოგია—ფუსტელისა	—	25
ხენთი რაფიცისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯანიბეგიანისა	1	—

ქუთაისში

ხამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საბავშვო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შ... ბიარეთი განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ დებულობს.

დღიური ფასი სავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანეთიდან 8-მდე.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი"

გამოვა 1905 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში" მონაწილეობას მიიღებენ, როგორც კვლავ, ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. რედაქციასთან დაარსებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის გასაუმჯობესებლად.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს „ჯეჯილის" ნომრებში ნახატები ფერადი წალებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მისცეს პრემიათ სასიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები.

ჟურნალი „ჯეჯილი" მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კაპ. ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი"-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили".

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.

(3—2)

1905 г. ТАРАЗЪ XVI г.

Художественно-литературно-научно-критическій еженедѣльный, единственный иллюстрированный на армянскомъ языкѣ журналъ ТАРАЗЪ въ 1905 г. будетъ выходить по той же разнообразной и широкой программѣ, какъ прошедшіе XV лѣтъ. Цѣль, направленіе и стремленіе ТАРАЗА—распространеніе среди армянъ правильныхъ взглядовъ на КРАСИВОЕ, ДОБРОЕ И ПОЛЕЗНОЕ.

Литература, Наука, Искусство, Воспитаніе, Критика составляютъ основу журнала ТАРАЗЪ. Газетные отдѣлы ТАРАЗА—Правит. распоряженія, Телеграммы, Корреспонденціи со всѣхъ угловъ Кавказа, Закавказа, Закаспійскаго края, равно съ умствен. промыш. центровъ Имперіи, заграницы и пр. дѣлаютъ ТАРАЗЪ необходимымъ органомъ печати для всѣхъ слоевъ общества, а отдѣлы Гигіены, Развлеченій, Домашняго Хозяйства, Модъ, Музыки и т. д.—популярнымъ изданіемъ во всѣхъ семействахъ. Годовая плата ТАРАЗА съ пересылкою и доставкою 6 р. заграницу 10 р. Отдѣльные №№ 20 к. Подписчикъ ТАРАЗА, который выпишетъ и ежемѣсячн. жур. АГБЮРЪ, доплачивая 1 р. получитъ премію.

Адресъ: Тифлисъ, Редакція жур. ТАРАЗЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de la Revue TARAS.

Редакторъ-издатель Т. Я. Назарьянъ

1905 г. АГБЮРЪ XXIII г.

Иллюстрированный на армянскомъ языкѣ, единственный журналъ АГБЮРЪ для дѣтей, родителей и наставниковъ.

Задача журнала АГБЮРЪ—правильное воспитаніе и обученіе подрастающаго поколенія, любовь къ природѣ, наукѣ и къ ближнему. Богатая программа журнала АГБЮРЪ даетъ полную возможность редакціи широко и многосторонне обхватывать вопросы, интересующіе подрастающее поколеніе и ихъ родителей—наставниковъ. Годовая плата жур. АГБЮРЪ 3 р., заграницу 5 р. Премію получаютъ лишь тѣ изъ подписчиковъ АГБЮРЪ, которые одновременно запишутся и на художественно-литератур. еженедѣльный нашъ жур. ТАРАЗЪ.

Адресъ: Тифлисъ. Редакція жур. АГБЮРЪ.

Tiflis, Caucase, Redaction de la Revue AGBUR.

Реракторъ-издатель Т. Я. Назарьянъ.

Электроп. „Груз. Изд. Т—ва.